საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/109 „31" ივლისი 2020 წ.

# განკარგულება

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ნ. მარსაგიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილმა 2020 წლის 22 ივლისს განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაყვანა. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დატვირთულობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კოლეგიის შემადგენლობის გაზრდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილი გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 5 აგვისტოდან.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი